

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N16

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

13.11.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“.

მომხს. /მამუკა ნამიჭეიშვილი/

2. „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხს./მამუკა ნამიჭეიშვილი/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, მთისძირის თემში მდებარე 7865 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 501,4 კვმ შენობა -ნაგებობის (31.03. 23.220) ა(ა)იპ „საბავშვო ბალების გაერთიანებაზე“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხს./ზვიად კაპანაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძულუხში მდებარე სახელმწიფო საკუთრების 3012 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.19.22.003) მოსარგებლისგან, სსიპ ძულუხის საჯარო სკოლისგან სარგებლობაში მიღებული N 1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 158.9 კვმ ფართის ა(ა)იპ „საბავშვო ბალების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

მომხს./ზვიად კაპანაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, „ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა N 42-ში მდებარე 731 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.26.214) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

მომხს./ზვიად კაპანაძე/

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვა და ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ (2019 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით) ინფორმაციის მოსმენა.

მომხს./ივანე მამფორია/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020-2021 წლებისთვის შერჩეულია 71 პროექტი. მათი ღირებულება შეადგენს დაახლოებით 23 მილიონ ლარს. ამ პროექტებიდან დაფინანსდება დაახლოებით 6 მილიონი ღირებულების, ხოლო დანარჩენი პროექტები მოწონებულია და შესაბამისად თანხის არსებობის შემთხვევაში დაფინანსდება ნელ-ნელა. ამჟამად პირველ ეტაპზე უფრო პრიორიტეტული პროექტები დაფინანსდება, რომელიც შეირჩევა თქვენთან და მერთან შეთანხმებით.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ დეპუტატებმა მალხაზ ცერცვაძემ, გიორგი ივანიაძემ, რამაზ არველაძემ თხოვეს გამომსვლეს შეეტანა კორექტირება დანართში და დაემატებინა კიდევ რამდენიმე პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა გაითვალისწინა ეს წინადადება და კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“.

(დანართი: განკარგულება N 27 49).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზედა ვანის მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეიტანეს ცვლილება ამ განკარგულებაში. კერძოდ, ზედა ვანში ბოგირის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხა 1666 ლარი გადატანილი იქნა გარე განათებებისთვის და წყლის მილების შესაძენად. გარე განათებებისთვის 1200 ლარი გამოიყო, წყლის მილების შესაძენად კი 466 ლარი.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა შალვა ლორთქიფანიძემ. მან მიმართა მომხსენებელს, გარე განათებების დამონტაჟება შეათანხმონ ვანის „ენერჯო პრო ჯოარჯიასთან“, რომ თავიდან აიცილონ მოსალოდნელი გართულებები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

(დანართი: განკარგულება N 27 48)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, მთისძირის თემში მდებარე 7865 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 501,4 კვმ შენობა -ნაგებობის (31.03. 23.220) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იმ მიწის ნაკვეთზე რომელზეც დამაგრებულია საბავშვო ბაღის შენობა - ნაგებობა გადაეცემა საბავშვო ბაღების გაერთიანებას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, მთისძირის თემში მდებარე 7865 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 501,4 კვმ შენობა -ნაგებობის (31.03. 23.220) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 45)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძულუხში მდებარე სახელმწიფო საკუთრების 3012 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.19.22.003) მოსარგებლისგან, სსიპ ძულუხის საჯარო სკოლისგან სარგებლობაში მიღებული N 1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 158.9 კვმ ფართის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

ამ შემთხვევაშიც მიწა, რომეზეც განთავსებულია შენობა -ნაგებობა გადაეცემა „საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძულუხში მდებარე სახელმწიფო საკუთრების 3012 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.19.22.003) მოსარგებლისგან, სსიპ ძულუხის საჯარო სკოლისგან სარგებლობაში მიღებული N 1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 158.9 კვმ ფართის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

(განკარგულება N 27 47)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, „ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა N 42-ში მდებარე 731 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.26.214) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

ამ პროექტანაც დაკავშირებით მიწა, რომეზეც განთავსებულია შენობა -ნაგებობა გადაეცემა „საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება მერისთვის, „ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა N 42-ში მდებარე 731 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.26.214) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

(განკარგულება N 27 46)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვა და ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ (2019 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით) ინფორმაციის მოსმენა.“

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ბიუჯეტის კვარტლურ შესრულებაზე და სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებზე.

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12929,5 ათასი ლარის, გადასახდელები 16670,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება -3740,9 ათასი ლარის მოცულობით.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 91,9 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 91,9 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სუბსიდიის მუხლით 10,0 ათასი ლარი მიიმართა, სხვა ხარჯების მუხლით 4,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 77,4 ათასი ლარი.

დეპუტატების მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე